მარიანა ქევხიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების დოქტორანტი

პარტია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს ლობისტური საქმიანობა აშშ-ში

აბსტრაქტი

2011 წლიდან ბიძინა ივანიშვილმა და კოალიცია "ქართულმა ოცნებამ" დაიწყო მასშტაბური ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლობისტებს უნდა მხარი დაეჭირათ 2012 წელს სამართლიანი, ღია და პატიოსანი არჩევნების ჩატარებისთვის საქართველოში; "ქართული ოცნების" წარმოამდგენლებისთვის აშშ-ს ოფიციალურ პირებთან შეხვედრების ორგანიზება; პიარი, ივანიშვილის ცნობადობის ამაღლება დასავლეთში და მიხეილ სააკაშვილის "რეალური სახის ჩვენება" .

ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის ლობისტური დაპირისპირების საკითხებს. სწორედ მილიარდერი ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ გახდა ცნობილი ქართული საზოგადოებისთვის, რომ საქართველო ლობისტურ დახმარებას ჯერ კიდევ 1991 წლიდან იყენებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში გამოჩენისთანავე დაიწყო ლობისტების დაქირავება აშშ-ში. ვინაიდან მისი

ფინანსური აქტივების გამოყენება შეიზღუდა საქართველოში, მან დასავლეთში მიმართა თავისი ფულადი სახსრები. მის მიერ 2011 წლის ნოემბრიდან ხელისუფლებაში მოსვლამდე 6 ლობისტური კომპანიისთვის გადახდილი თანხაა 1 095 635 აშშ დოლარი.

ბიძინა ივანიშვილისა და ქართული ოცნების ლობისტური საქმიანობა შეიძლება ორ ეტაპად განვიხილოთ, ერთი ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლამდე, წინასაარჩევნო პერიოდში და მეორე ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ქართულმა ოცნებამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, წინამორბედისგან განსხვავებით, მკვეთრად შეამცირა ლობისტების დაქირავების მასშტაბები და მომსახურებაში გადახდილი თანხა.

“ქართული ოცნების” ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ყველა ამ ლობისტურ კომპანიასთან კონტრაქტები შეწყდა. მათ გაწეული სამსახურისთვის ანაზღაურებას ბიძინა ივანიშვილი უხდიდა. ახლანდელ მთავრობას დღეს მხოლოდ ორი კომპანია ჰყავს დაქირავებული ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როგორც კვლევა ცხადყოფს, ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა მთავარი ოპონენტის, ხელისუფლებაში მყოფი ძალის ცხრა წლიანი ლობისტური კამპანიის განეიტრალება. 2011 წლამდე მსგავსი პრეცენდენტი არ ყოფილა, ვინაიდან ოპოზიციურ პარტიებს არ გააჩნდათ საკმარისი ფინანსები იმისათვის, რომ მსგავსი მასშტაბური ლობისტური კამპანია განეხორციელებინათ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ.

შესავალი

საქართველო ლობისტურ საქმიანობას ამერიკის შეერთებულ შტატებში 1991 წლიდან მიმართავდა. ქართულმა საზოგადოებამ ეს ფაქტი მხოლოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ შეიტყო. 2011 წელს ოპოზიციაში გამოჩნდა მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ოფიციალურად ექვსი ლობისტური კომპანია დაიქირავა და დაუპირისპირდა მთავარ ოპონენტს - სააკაშვილის ხელისუფლებას. სწორედ ამ პერიოდში ალაპარაკდა ქართული პრესა საქართველოს ლობისტური საქმიანობის შესახებ. სტატიები ეყრდნობოდა დასავლურ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს, საიდანაც გახდა ცნობილი არა მარტო სააკაშვილი-ივანიშვილის მიმდინარე "ლობისტური ომის", არამედ წინა წლების ლობისტური საქმიანობის შესახებაც.

როგორც ამერიკული პრესის შესწავლის შედეგად ირკვევა 2003 წლიდან საქართველო მასშტაბურ ლობისტურ კამპანიას მიმართავს აშშ-ში. მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებდა ლობისტების მომსახურებას, მათი დახმარებით კი პოლიტიკურ ოპონენტებს უპირისპირდებოდა. მაშინდელი ოპოზიცია ფინანსური სახსრებისა და ინფორმაციის ნაკლებობის გამო საპირწონე ლობისტურ კამპანიას ვერ ქმნიდა მის წინააღმდეგ. ბიძინა ივანიშვილს კი საკმარისზე მეტი თანხა და კავშირები აღმოაჩნდა ამერიკელ მაღალჩინოსნებთან. წინასაარჩევნო პერიოდში ფინანსური აქტივების გამოყენება საქართველოში შეუზღუდეს ივანიშვილს, თუმცაღა ლობისტური საქმიანობისთვის გაწეულ ხარჯებს აშშ-ში ვერავინ გაუკონტროლებდა. სწორედ ამიტომ კოალიცია "ქართულ ოცნებასთან" ერთად მან აშშ-ში ფართო ლობისტური კამპანია წამოიწყო სააკაშვილის წინააღმდეგ და საკუთარი თავის გასაპიარებ-

ლად. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, "ქართულმა ოცნებამ" ყველა მანამდე დაქირავებულ კომპანიასთან შეწყვიტა კონტრაქტი და დღეს მათ ინტერესებს აშშ-ში მხოლოდ ორი ლობისტური კომპანია იცავს.

ინფორმაცია საქართველოს ლობისტური საქმიანობის შესახებ, მხოლოდ დასავლური პრესის ფურცლებიდან გახდა ცნობილი ქართული საზოგადოებისთვის. აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე ქვეყნდება ყველა ის კონტრაქტი, რომელიც ქართულ მხარესა და ლობისტურ კომპანიებს შორის იდება. კონტენტ ანალიზის საშუალებით, შევისწავლე და გავაანალიზე ყველა ის კონტრაქტი, რომელიც ქართული ოცნების ლობისტურ საქმიანობას ასახავს.

ბიძინა ივანიშვილის ლობისტური საქმიანობა აშშ-ში

ჟურნალ „შპიგელისთვის" მიცემულ ინტერვიუში, სადაც თავის ლობისტურ ამოცანებზე საუბრობდა, ივანიშვილმა განაცხადა: ,,ამერიკამ საქართველო თავის უმცროს პარტნიორად აირჩია. აშშ დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი ქმნის დემოკრატიულ საქართველოს, მაგრამ ეს მხოლოდ ფასადია, მე მინდა ამერიკელებს მისი ნამდვილი სახე დავანახო". (ეგენი, 17.05.2012).

სწორედ ამ მიზნით, ივანიშვილმა დაიქირავა ამერიკული ლობისტური კომპანიები. ამ ინფორმაციას ადასტურებს აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ანგარიშები. მეორე მხრივ შესაძლებელია დარეგისტრირება Lobbying Disclosure Act-is (LDA) ფორმით, ამ შემთხვევაში კი სენატის ანგარიშებში საჯაროობის მოთხოვნა რბილია და კომპანიებს შეუძლიათ თავი აარიდონ არასასურველი ინფორმაციის გამჟღავნებას. (ჰალპერი, 17.04.2012). FARA-ს იურისტების გან-

ცხადებით, LDA-ის ფორმით დარეგისტრირების კანონიერება დამოკიდებულია იმაზე თუ კლიენტი რამდენად აქტიურად არის ჩართული საგარეო პოლიტიკაში და ამერიკელი ლობისტები არიან თუ არა ჩართულნი იმ ამერიკელი ჩინოვნიკების ლობირებაში, რომელთა საქმიანობა აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მიმართულებებს ეხება (როგინი, 03.04.2012).

RA-ს მონაცემებით, 2011 წლის 21 ნოემბერს ივანიშვილმა დაიქირავა ლობისტური კომპანია ,,BGR Government Affairs", რომელსაც თვეში 25 ათას დოლარს უხდიდა. ანკეტაში მითითებულია, რათა კომპანია დაქირავებულია იმისათვის, რათა ხელი შეუწყოს ქართული დემოკრატიის გაძლიერებას და 2012 წელს სამართლიანი, ღია და პატიოსანი არჩევნების ჩატარებას. იქვე მითითებულია, რომ კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შეხვედრები ამერიკის ოფიციალურ პირებთან და გამოიყენონ ახალი შესაძლებლობები. მომსახურება ითვალისწინებდა ასევე სტრატეგიული სამთავრობო საქმიანობის გაწევას და პიარს. (U.S. Department of Justice, OMB No 1124-0006).

RA-ზე დარეგისტრირებულია ასევე, რომ თვეში 20 ათას დოლარად დაქირავებული იყო სემ პატენის ოფისი. კონსულტანტი სემ პატენი ივანიშვილისთვის თბილისში მუშაობდა. ამ კომპანიასთანაც კონტრაქტი დადებულია 2011 წლის ნოემბერში. სემ პატენისთვის გადახდილია 140 ათასი დოლარი. ეს ლობისტური ფირმა პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივობას კლიენტისთვის ორი კუთხით უზრუნველყოფდა: 1. საქართველოში პოლიტიკური საქმიანობის მონიტორინგი და ამერიკელი მაღალჩინოსნების რჩევები და 2. შეხვედრების ორგანიზება ამერიკის მთავრობის ოფიციალურ პირებთან (U.S. Department of

Justice, OMB No 1124-0006). ორივე დაქირავებულ კომპანიასთან გადახდა განხორციელდა ლონდონში მდებარე იურიდიული პირის ,,BGR Gabara"-ს მეშვეობით. ეს ფირმაც, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ივანიშვილისთვის მუშაობდა. ორივე ანკეტაში მითითებულია, რომ ფირმა მუშაობდა ბიძინა ივანიშვილისთვის.

ივანიშვილის მიერ დაქირავებული დანარჩენი ლობისტური კომპანიები კი LDA-ს ფორმებითაა დარეგისტრირებული. თუმცა მას შემდეგ, რაც "ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა, ყველა კონტრაქტი ასევე დარეგისტრირდა FARA-ს ფორმით. ასეთია ვაშინგტონში ერთ-ერთი გავლენიანი ლობისტური კომპანია ,,Patton Boggs", რომელმაც 2011 წლის პირველ კვარტალში 510 ათასი დოლარი დახარჯა ლობისტური საქმიანობისთვის (ეგენი, 17.05.2012). კომპანია ბევრად უფრო გავლენიანია, ვიდრე სააკაშვილის ,,პოდესტა გრუპი". მას მრჩეველთა დიდი კონტიგენტი ჰყავს, წამყვანი ექს-პერტები, ყოფილი პოლიტიკოსები თუ გადამდგარი გენერლები (ასათიანი, 2012). დოკუმენტაცია ამ კონტრაქტის შესახებ არ გამოქვეყნებულა.

კიდევ ერთი ამგვარად დაქირავებული კომპანია იყო ,,National Strategies". მათ ანკეტაში მითითებულია, რომ ის არ წარმოადგენს უცხოურ სუბიექტს. ამ კომპანიასთან მუშაობდა დაუნ მაკგარტის ფირმა, რომლის ანკეტაშიც ნათქვამია, რომ ის უცხოური სუბიექტია და მუშაობს საქართველოს რესპუბლიკაში დემოკრატიული არჩევნების მიმართულებით (როგინი, 03.04.2012). ,,National Strategies" უზრუნველყოფდა ივანიშვილისთვის ამერიკაში ცნობადობის ამაღლებას, ასაბუთებდა რომ ქართული საბანკო კანონმდებლობა შერჩევით გამოიყენებოდა ,,ქართუ ბანკის" წინააღმდეგ და ხაზს უსვამდა 2012 წელს საქართველოში თავისუფალ,

სამართლიან, კონკურენტულ და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების საჭიროებას. ანკეტაში მითითებულია, რომ 2012 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით ფირმამ მიიღო 160.635 დოლარი. (Lobbying Disclosure Act, 2012). კომპანიას ლობისტად დარეგისტრირებული ყავდა პოლ ჯოელი, რომელიც ადრე მოქალაქეთა კავშირისთვის მუშაობდა. შევარდნაძის ხელისუფლების დროს აშშ-ში ელჩი იყო თედო ჯაფარიძე, რომელიც ახლა ,,ქართულ ოცნებაშია" და, სავარაუდოდ, ივანიშვილი მან დააკავშირა ჯოელთან.

ივანიშვილისთვის მუშაობდა კიდევ ერთი კომპანია ,,Parry Romani Deconcini and Symms". მათ კლიენტად დარეგისტრირებული ყავდათ ,,National Strategies", რომელიც, ასევე ივანიშვილისთვის მუშაობდა. ფირმას უნდა უზრუნველეყო 2012 წელს დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა საქართველოში. ამავე წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით მათ მიღებული აქვთ 30 ათასი დოლარი (Lobbying Disclosure Act, 2012).

ასევე დაქირავებული ლობისტური კომპანიაა "Barbour Griffith and Rogers" ამ შემთხვევაშიც გადახდა განხორციელდა კომპანია ,,BGR Gabara"-ს მეშვეობით, ის დარეგისტრირებული იყო, როგორც ივანიშვილისთვის მომუშავე კლიენტი. 2011 წელს 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე კომპანიას გადაუხადეს 50 ათასი დოლარი. ლობისტებს უნდა უზრუნველეყოთ სტრატეგიული რჩევები და გაეადვილებინათ ურთიერთობა ივანიშვილის გუნდისთვის აშშ-ს მაღალჩინოსნებთან. 2012 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე კომპანიას გადაუხადეს 30 ათასი დოლარი. ჯამში გადახდილია 80 ათასი დოლარი. (Lobbying Disclosure Act, 2012).

როგორც ჩანს, ზოგიერთი ფირმა ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე მუშაობდა ივანიშვილისთვის. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ მაკდერმოტის კანონ-პროექტის შესახებ მასალა რეპორტიორებს ელექტრონული ფოსტით მიაწოდეს კომპანიებმა: ,,K Global" და ,,Peter Mirijanian Public Affairs"-მა. (როგინი, 03.04.2012). თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიებთან ურთიერთობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია არ არსებობს.

ამდენად ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი K Street-ზე (ქუჩა ვაშინგტონში), სადაც ისეთი გავლენიანი ლობისტური კომპანიებია განთავსებული, როგორებიცაა: ,,Patton Boggs", Thomas Boggs, ყოფილი რესპუბლიკელი ტომ მაკდაუნი და ყოფილი სენატორი სტივ სიმსი (პალმერი, 12.04.2012). ივანიშვილის ამერიკული ლობისტური გუნდი ყიდულობდა მთლიან გვერდებს ამერიკულ გამოცემებში და აქვეყნებდა იქ მასალებს, ლობირებას ეწეოდა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციაში და მართავდა შეხვედრებს კონგრესის წევრებთან (ეგენი, 17.05.2012). გავრცელდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილი დაუკავშირდა სააკაშვილის ლობისტურ კომპანიას ,,Podesta Group" და მასთან გადასვლის სანაცვლოდ გაორმაგებული ჰონორარი შესთავაზა, თუმცა მათ უარი განუცხადეს. (როგინი, 31.01.2012).

ამდენად ბიძინა ივანიშვილს ოფიციალურად დაქირავებული ჰყავდა 6 ლობისტური ფირმა, რომლებსაც 2011 წლის ნოემბრიდან ხელისუფლებაში მოსვლამდე გადაუხადა 1 095 635 აშშ დოლარი.

საქართველოს მთავრობის ლობისტური საქმიანობა 2012 წლის არჩევნების შემდეგ

საქართველოს მთავრობას დღეს ორი ლობისტური კომპანია ჰყავს დაქირავებული შეერთებულ შტატებში. Harbour Group ერთ-ერთი ასეთი დაქირავებული კომპანიაა, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის მუშაობს Patton Boggs-ის დირექტივების მეშვეობით. 2013 წლის 26 აგვისტოს კონტრაქტი გაფორმდა ამ ორ კომპანიას შორის. მასში გაწერილია ის დავალებები, რომლებიც საქართველოსთვის მთავრობისთვის უნდა შეასრულოს Harbour Group-მა. ესენია: საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ლიდერების ვაშინგტონში ზოგადი მხარდაჭერის ამაღლება, მედია გაშუქების გაზრდა, ფოკუსირება საგარეო პოლიტიკასა და მედია მასალების გამოცემაზე, საქართველოს საელჩოს ინიციატივების მხარდაჭერა. ახალ აუდიტორიაზე გასვლა იმ მედია საშუალებების მეშვეობით, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი საქართველოსთან დაკავშირებულ დისკუსიებში, უნდა შეასრულოს ასევე საქართველოს მთავრობის სხვა დავალებები. კონტრაქტი ძალაში იყო 2013 წლის 31 დეკემბრამდე, საქართველოს მთავრობამ კომპანიას გადაუხადა 20 000 დოლარი თვეში (U.S. Department of Justice, OMB No 1124-0006). კომპანია თავდაპირველად 2013 წელს მუშაობდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, პრეზიდენტის, საქართველო-ავღანეთის საკითხებზე, თანაინვესტირების ფონდისა და ამერიკის სავაჭრო პალატის ურთიერთობაზე. უკვე 2015 წლიდან კომპანია ახდენს თავდაცვის მინისტრის შეხვედრებისა და ინტერვიუების ორგანიზებას აშშ-ში.

მეორე კონტრაქტი ამ კომპანიასთან გაფორმებულია 2015 წლის პირველი აპრილიდან 2016 წლის 31 მარტამდე.

ამჯერად კომპანია ახორციელებდა საქართველოს ინტერესების დაცვას აშშ-ში. დავალებებია: გაიზარდოს საქართველოს მხარდაჭერა აშშ-ს პოლიტიკურ და სამოქალაქო ლიდერებში, გაიზარდოს მედია მხარდაჭერა საგარეო პოლიტიკის მხრივ, თვეში კვლავ გადაუხადეს 20 000 აშშ დოლარი (U.S. Department of Justice, OMB No 1124-0006).

2016 წლის პირველი აპრილიდან კვლავ გაგრძელდა კონტრაქტი წლის ბოლომდე. ამჯერადაც 20 000 აშშ დოლარს გადაუხდიან იმ მომსახურებაში ლობისტებს, როგორიცაა: ყველა ძირითად ღონისძიებაზე პრემიერ-მინისტრის მუდმივი საკომუნიკაციო მხარდაჭერა, სიტყვით გამოსვლის (სპიჩი) დაწერის, სტატიებისა და ინტერვიუებისთვის სასაუბრო მონახაზების ჩამოყალიბებისა და მოსამზადებელი სესიების ჩატარების ჩათვლით. საერთაშორისო და ადგილობრივ მედიასაშუალებებთან ურთიერთობებისა და გზავნილების სტრატეგიის საკითხებში ადმინისტრაციის კომუნიკაციების ჯგუფების დაკვალიანება. მედიასტრატეგიის შემუშავება და წამყვან ამერიკულ მედიასაშუალებებთან კონტაქტი/ურთიერთობა პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის პროფილის შესაქმნელად. ადმინისტრაციის კომუნიკაციის ჯგუფის დაკვალიანება და მხარდაჭერა თბილისში მომუშავე წამყვან საერთაშორისო ჟურნალისტებთან ურთიერთობის დამყარება–გაღრმავებაში. “რეალურ დროში” უწყვეტი წერილობითი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობის მასალებთან დაკავშირებით კონსულტაციების მიწოდება წერილობითი პასუხების, დაგეგმვის, გზავნილების, პრეს-რელიზების, ბრიფინგების ტექსტებისა და სხვათა ჩათვლით. დაკვალიანება ადმინისტრაციის გუნდის სოციალურ მედიაში მუშაობის კუთხით. აშშ-ში ვიზიტის დროს პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ინ-

ტერვიუების/საჯარო შეხვედრების მოწყობა და მედიასაშუალებების შერჩევა. საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვან ღონისძიებებზე საქართველოს პრემიერ მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გამოსვლების საბოლოო ვერსიების შექმნა და დახვეწა. მედიის გეგმის შემუშავება და კონტაქტების/ურთიერთობების დამყარების პროცესის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანი მოვლენების (დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავის ჩათვლით) პოზიტიური გაშუქების უზრუნველსაყოფად. ვაშინგტონში საქართველოს საელჩოსთვის მედიასთან ურთიერთობის სფეროში კონსულტაციების მიწოდება. საქართველოში სასწავლო ტურების ფარგლებში ამერიკელი ჟურნალისტების ჩამოყვანასთან დაკავშირებით საელჩოს საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების მხარდაჭერა. (U.S. Department of Justice, OMB No 1124-0006).

ეს ლობისტებთან გაფორმებული პირველი კონტრაქტია, რომელიც როგორც ინგლისურ ასევე ქართულ ენაზეა შედგენილი. აქვე მითითებულია, რომ საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა განხორციელდება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში. კონტრაქტების მიხედვით რომ შევაფასოთ, ამ კომპანიას 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით გადაუხდიან ჯამში 500 000 აშშ დოლარს.

მეორე დაქირავებული ლობისტური კომპანიაა Pillsbury Winthrop Shaw Pittman LLP, თავდაპირველად კონტრაქტი ამ კომპანიასთან 2015 წლის პირველი აპრილიდან 2016 წლის 31 მარტამდე იყო გაწერილი. მათ გადაუხადეს 600 000 აშშ დოლარი ამ პერიოდისათვის. დავალება კი ასეთი იყო: მხარი დაუჭირონ საქართველო-აშშ-ს ორმხრივ ურთიერთობებს, ნატოში სწრაფვას, დაამყარონ ურ-

თიერთობა აშშ-ს მთავრობასა და კონგრესთან, მედიასა და აზრის ლიდერებთან და უზრუნველყონ საქართველოს განვითარების შესახებ ინფორმირება. (U.S. Department of Justice, OMB No 1124-0006).

უფრო დეტალური ინფორმაცია იკითხება 2016 წელს განახლებულ კონტრაქტში, რომელიც აპრილიდან 31 დეკემბრამდეა ძალაში. ამ პერიოდისათვის კომპანია მიიღებს 270 000 აშშ დოლარს. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ფირმა უზრუნველყოფს შემდეგ მომსახურებებს: დამკვეთის ხელშეწყობა ურთიერთობის განვითარების კუთხით, აშშ-ს ისეთ ძირითად პოლიტიკურ ჯგუფებთან, როგორიცაა: თეთრი სახლის ოფიციალური პირები, კონგრესის წევრები, პრეზიდენტობის კანდიდატები და მათი მრჩევლები; აშშ-ში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით, დამკვეთისთვისთვის დახმარების გაწევა აღნიშნული ჯგუფების მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის დემონსტრირებაში ასევე სხვა მნიშვნელოვან საკითხებში დახმარება. საქართველოს პრემიერ- მინისტრისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აშშ-ში ვიზიტების მხარდაჭერა. ვაშინგტონში საქართველოსთან დაკავშირებული მიმდინარე მოვლენების მონიტორინგი და აღნიშნულის შესახებ დამკვეთის მუდმივად განახლებადი ინფორმირება. სტრატეგიული რჩევების შემუშავება საგარეო პოლიტიკის, საქართველო-ნატოს ურთიერთობების გაღრმავების, აშშ-სთან თავდაცვის კუთხით ურთიერთობების გაძლიერების, დიპლომატიური ურთიერთობებისა და საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის რჩევების მიცემა სიტყვით გამოსვლების, წერილებისა და სტატიების

შემუშავებასთან დაკავშირებით. (U.S. Department of Justice, OMB No 1124-0003).

ასეთია დღეს საქართველოს მთავრობის მიერ დაქირავებული ლობისტების სია, მათთვის გაწეული მომსახურებებისა და გადახდილი თანხების ჩამონათვალით.

ლობისტური საქმიანობის შედეგები

იმის გასაზომად, თუ რამდენად იძლევა უპირატესობას ლობისტური საქმიანობა, დათვლილია, როგორც ქართულ ასევე უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციის შესახებ; ამასთანავე შესწავლილია უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ხასიათი: პოზიტიური თუ ნეგატიური ხასიათისაა, რაც მიუთითებს ლობისტების ძალისხმევაზე, კარგი იმიჯით წარადგინონ ერთი მხარე და მოწინააღმდეგის მხოლოდ ცუდი მხარე გადმოსცენ.

ლობისტური საქმიანობის კიდევ ერთი შედეგია ხელისუფლების წარმომადგენლების ან ოპოზიციის წევრების ვიზიტები აშშ-ში. რამდენად ხშირად აწყობენ ასეთ ვიზიტებს და რომელ მაღალჩინოსნებს ხვდებიან იქ; ასევე მნიშვნელოვანია აშშ-ს პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებული მხარდამჭერი განცხადებები ორივე მხარის მისამართით.

საქართველოს შესახებ ბევრი იწერება უცხოურ პრესაში, რომელსაც საიტი Foreignpress.ge თარგმნიდა და აქვეყნებდა საკუთარ გვერდზე. ლობისტები დამქირავებლებისთვის აქტიურ პრესას უზრუნველყოფენ. გამოქვეყნებული მასალებიდან ზოგი სტატია ნამდვილად შეკვეთილ და პიარით გაჯერებულ მასალას ჰგავს. არის სტატიები, რომლებიც შედარებით დაბალანსებულია და მიკერძოებული არაა, სტატიების ნაწილი მხოლოდ ფაქტებს გადმოგვცემს კო-

მენტარების გარეშე, ნაწილში კი ანალიზია მოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილის მისამართით უფრო მეტი უარყოფითი სტატიაა გამოქვეყნებული ვიდრე დადებითი. როგორც ჩანს, ეს რუსული ლობის და ოპოზიციის მცდელობების დამსახურებაა.

ივანიშვილზე წინასაარჩევნო პერიოდში დადებითი ტიპის 82 სტატია გამოქვეყნდა უცხოურ პრესაში. გარდა ამისა ივანიშვილის დადებითი სტატიების რაოდენობა ბევრად აღემატება მასზე გამოქვეყნებულ ნეგატიურ ინფორმაციას. ივანიშვილის შესახებ სტატიებში ხდება ივანიშვილის პერსონა დადებითადაა წარმოჩენილი სააკაშვილის ავტორიტეტულ მმართველად დახასიათების ფონზე, ხოლო სააკაშვილის შეკვეთილ სტატიებშიც ასევე ხდება ივანიშვილის რუსეთის მარიონეტად წარმოდგენა და მითითება, რომ მისი ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში ქვეყანა კვლავ რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცევა და აშშ დაკარგავს დასაყრდენს კავკასიაში. პრესაში შეკვეთილი სტატიები ამერიკულ საზოგადოებაში დადებითი აზრის ჩამოყალიბებას ემსახურება.

კონტრაქტებში ერთ-ერთი ძირითადი დავალება ლობისტებისთვის ესაა აშშ-ში შეხვედრების მოწყობა ქართული მხარისათვის. წინასაარჩევნოდ აქტიურად ვიზიტებს აშშ-ში ივანიშვილის კოალიციის წევრები მართავდნენ. ირაკლი ალასანია ივანიშვილის გამოჩენამდე ჯერ კიდევ 2011 წლის ივლისში შეხვდა სენატორებს ჯო ლიბერმანსა და ჯონ მაკკეინს, სადაც განიხილეს საქართველოში ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი. მისი თქმით, ის ფაქტი, რომ ფინანსური კრიზისის ფონზე სენატორებმა დრო დაუთმეს საქართველოს საკითხს, ადასტურებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათთვის ამ ქვეყნის დემოკრატი-

ული განვითარება. როგორც ქართულ საზოგადოებაში ასე-ვე ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაში ყველა თანხმდება, რომ ეს არჩევნები თავისუფალ გარემოში უნდა ჩატარდეს. - აცხადებდა ალასანია. (ირაკლი ალასანია აშშ-ში ვიზიტს გა-ნაგრძობს. 06.07.2012.)

,,ქართული ოცნების" სახელით აშშ-ში მოლაპარაკე-ბებს დიპლომატი თედო ჯაფარიძე მართავდა. მისი თქმით, ორი კვირის განმავლობაში ის კონგრესის ათეულობით წევრს, სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნებს, მეც-ნიერებს და სხვა სამთავრობო და საგარეო პოლიტიკური სფეროს ცნობილ წარმომადგენელს შეხვდა. ჯაფარიძე შეხ-ვედრებზე სენატორებს აცნობდა იმ ვითარებას, რომელიც დღეს საქართველოშია, შესაბამისი პოზიციის ჭრილში. (თედო ჯაფარიძე: გაჩნდა იმის რისკი, რომ აშშ უნებლიეთ აფინანსებს ქართველი ხალხის რეპრესიებს. 06.07.2012.)

თებერვალში ,,რესპუბლიკური პარტიის" წევრი თინა ხიდაშელი სახელმწიფო მდივნის მოადგილეს თომას მე-ლიას შეხვდა. განიხილეს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობა საქართველო-ში, საარჩევნო კანონმდელობა, ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებები, ხიდაშელმა სთხოვა მელიას მუდ-მივი ყურადღება და მონიტორინგი განახორციელონ არჩევ-ნების მიმდინარეობისას. (თინა ხიდაშელი აშშ-ს სახელმწი-ფო მდივნის მოადგილესთან. 2012). ხიდაშელი შეხვდა ასე-ვე კონგრესმენ ჯიმ მაკდერმოტს, რომელსაც საქართველო-ში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესა-ხებ ესაუბრა. (ხიდაშელი კონგრესმენ მაკდერმოტს შეხვ-და.2012).

2012 წლის აპრილში თინა ხიდაშელმა მასშტაბური შეხვედრების სერია გამართა და 8 დღეში 80 შეხვედრას და-

ესწრო. ეს ვიზიტი დაემთხვა საქართველო-ამერიკის დემოკრატიის კომისიის შეხვედრას. ხიდაშელი ორი მიზნით სტუმრობდა აშშ-ს, პირველი, რომ ამერიკელებისთვის საქართველოს ,,რეალური მდგომარეობა“ ეჩვენებინა და მეორეც ,,ქართული ოცნების” პრეზენტაცია გაეკეთებინა და დაინტერესებული პირებისთვის გაეცნო ივანიშვილი. შეხვედრებზე ხიდაშელმა წარმოადგინა კოალიციის ხედვა ქვეყნის შემდგომი განვითარების შესახებ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. მათ გამოიყენეს ეს საშუალება, რათა ჩიკაგოს სამიტის წინ განეცხადებინათ, რომ ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერენ და ამ თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლებას არ ემიჯნებიან. ხიდაშელი ამბობდა, რომ წინა წლებთან შედარებით აშშ-ს სენატორების დამოკიდებულება და ინტერესი ,,ქართული ოცნების” მიმართ გაზრდილია. თითქმის ყველა დაგეგმილი შეხვედრა ჩატარდა და ხელისუფლებაზე საუბარს მხოლოდ 10 წუთი ეთმობოდა. ორი შეხვედრა ძირითადად კონფლიქტურ ტერიტორიებს და რუსეთთან სამომავლო ურთიერთობების განხილვას დაეთმო. (მგალობლიშვილი, 2012).

ხიდაშელი აშშ-ში შეხვდა ასევე კონგრესმენ ჯიმ მაკდერმოტს და ამერიკის კონგრესში მხარდაჭერისა და დემოკრატიული პროცესების წახალისებისთვის მადლობა გადაუხადა. მან ისაუბრა ,,საქართველოს დემოკრატიული აქტი 2012”-ის მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნისთვის. მანამდე ხიდაშელი მარტში შეხვდა სენატორ რიჩარდ ლუგარს, სენატის უმრავლესობის სპიკერ დიკ დურბინის მრჩეველს საგარეო საკითხებში, კონგრესის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ევროპის, ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის განყოფილების ხელმძღვანელს. შეხვედრა შედგა ასევე კონგრესმენ დანა როჰრაბახერთან, რომელიც ხიდაშელს

კონგრესში საქართველოს თემაზე სპეციალური ღონისძიების დაგეგმვას დაჰპირდა. (თინათინ ხიდაშელმა კონგრესმენ მაკდერმოტს საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.2012).

აშშ-ში ვიზიტით იმყოფებოდა ,,თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანიაც. მისი თქმით, ის შეხვდა კონგრესმენებს, სენატორებს, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს. მათი დამოკიდებულება ერთგვაროვანია, ისინი თავს საქართველოს მეგობრად აცხადებენ და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის. ყველა მათგანი მოელის, რომ მომავალი არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად და შეიცვალოს ხელისუფლება. ალასანიას თქმით ამ აზრს იზიარებს, მაკკეინიც, რომელიც ,,საქართველოს ინტერესებისთვის გულშეწუხებული ადამიანია" და სურს, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება შეიცვალოს. (სივსივაძე, 2012).

როგორც ვხედავთ, ოპოზიციის წარმომადგენლები წინასაარჩევნოდ აქტიურად გეგმავდნენ შეერთებულ შტატებში ვიზიტებს. რადგანაც აშშ-ს მიერ მიღებული დასკვნა მნიშვნელოვანი იყო არჩევნების ლეგიტიმურობის თვალსაზრისით. ოპოზიცია სააკაშვილის მმართველობის ავტორიტარულ რეჟიმად გადაქცევის საფრთხეზე მიუთითებდა, სადაც მუდმივად ილახება ადამიანის უფლებები, არ არსებობს კანონის უზენაესობა და თავისუფალი სასამართლო, ხოლო ივანიშვილს წარმოაჩენდა იმ ფიგურად, რომელსაც შეეძლო ქვეყანა ამ რეჟიმიდან გამოეყვანა და დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის შეეწყო ხელი.

მსგავს შეხვედრებს აშშ-ს მაღალჩინოსნებთან საპასუხოდ მოსდევდა მათი მხრიდან მხარდამჭერი განცხადებები. თუმცა „ქართული ოცნების" მხარდაჭრის მასშტაბი ხე-

ლისუფლების მხარდაჭერის მასშტაბს ვერ უტოლდებოდა, მაგრამ საკმაო დისკომფორტი კი შეუქმნა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ივანიშვილის გამოჩენამდე სააკაშვილის მისამართით გამოთქმულ დადებით აზრს დასავლეთში წინააღმდეგობა არსად ხვდებოდა, რაც შეიცვალა მისი გამოჩენის შემდეგ და ფაქტობრივად დებატები იმართებოდა აშშ-ში საქართველოს საკითხზე.

წარმომადგენელთა პალატაში 2012 წლის 26 მარტს კანონპროექტმა ,,საქართველოს დემოკრატიის აქტი 2012" დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია როგორც დასავლურ საზოგადოებაში, ისე საქართველოშიც. კანონპროექტი დემოკრატმა კონგრესმენმა ჯიმ მაკდერმოტმა წარადგინა და თან განაცხადა: ,,ეს კანონპროექტი ხელს შეუწყობს იმ ზეწოლის გამოაშკარავებას, რომელიც სულ უფრო ძლიერდება საქართველოში. მე ვიცი, რომ კონგრესში ორივე მხარის წარმომადგენლები იზიარებენ ჩემს მზარდ შეშფოთებას საქართველოში პოლიტიკური პარტიების, მშრომელების და არასამთავრობო ორგანიზაციების გამო". (როგინი. 2012)

მაკდერმოტის თანაშემწის განცხადებით, კანონპროექტი 2008 წლის და 2010 წლის მაკდერმოტის საქართველოში ვიზიტის შედეგია საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობასთან დაკავშირებული შეშფოთების და იმის გამო, რომ გაზარდოს მისი კოლეგების ინფორმირებულობა, რომ საქართველოში ახშობენ პოლიტიკურ თავისუფლებას და სამართლიან კონკურენციას პოლიტიკურ პარტიებს შორის (პალმერი, 12.04.2012). თავად მაკდერმოტი არ არის ცნობილი როგორც საქართველოს საკითხებზე მომუშავე პოლიტიკოსი ან საგარეო საკითხებში სერიოზული მოთამაშე,

მასზე ცნობილია, რომ ერაყში აშშ-ს ინტერვენციის დროს სადამ ჰუსეინს უჭერდა მხარს. (ჰალპერი, 17.04.2012).

კანონპროექტის თანახმად, დემოკრატია საქართველოში სერიოზული გამოწვევების წინაშე იდგა. მთავრობა ზრდის პოლიტიკური ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების დაპატიმრების რიცხვს, ზღუდავს პრესის თავისუფლებას და ხელს უშლის ოპოზიციის ჯგუფების მხრიდან დემონსტრაციების ჩატარების მცდელობას ხშირად ძალადობრივი გზით. კანონპროექტი მოუწოდებდა, რომ აშშ-ს შეეწყვიტა საქართველოს ყველანაირი დახმარება თუ 2012 წ. ოქტომბრის არჩევნები არ იქნება თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული და თუ ივანიშვილის პარტია მასში მონაწილეობას სრულფასოვნად ვერ მიიღებს.

კანონპროექტი სააკაშვილს ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევაში ადანაშაულებდა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებისას მის მხარდამჭერებზე ზეწოლისა და მათი დაკავების კამპანიის ინიცირებაში ადანაშაულებდა. ივანიშვილზე ნათქვამი იყო, რომ არის ქართველი ბიზნესმენი, რომელმაც შექმნა ახალი პოლიტიკური პარტია ,,ქართული ოცნება" ოპოზიციური პარტიების გაერთიანებების და საქართველოს მთავრობაზე მზარდ დიქტატორულ კონტროლთან დაპირისპირების მიზნით (როგინი, 03.04.2012).

9 გვერდიან კანონპროექტში ივანიშვილი 13-ჯერაა ნახსენები, ისე, რომ არცერთი სხვა პოლიტიკოსის გვარი არ ფიგურირებს გარდა სააკაშვილისა, მასზეც ერთგან ნათქვამია ,,მისი სულ უფრო დიქტატორული კონტროლი საქართველოს მთავრობაზე" და რამდენჯერმეა ნახსენები ,,სააკაშვილის რეჟიმი". (კუცერა, 27.03.2012).

ივანიშვილის მხარდაჭერა მხოლოდ მაკდერმოტის წარდგენილი კანონპროექტი არ არის, კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის წამყვანმა კონგრესმენმა, დემოკრატმა ჰოვარდ ბერმანმა დაგმო ცნობები საქართველოს შესახებ, რომლის თანახმადაც ხდება ოპოზიციური ლიდერების დაშინება და მათ ხელი არ მიუწვდებათ მედიაზე. მისივე განცხადებით, ის ,,შეწუხებულია ძალისხმევით, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ ცნობილ პოლიტიკურ ოპონენტს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაში ხელი შეუშალოს (ამერიკელი კანონმდებლების თქმით, საქართველოს შემდეგი არჩევნები ,,გარდამტეხია". 15.06.2012).

ჯიმ მაკდერმოტის კანონპროექტის გამოჩენა დასავლურმა პრესამ დაუკავშირა აშშ-ს ოფიციალური პირების, მათ შორის მომავალი ელჩის საქართველოში რიჩარდ ნორლანდის განცხადებას, საპარლამენტო არჩევნების ,,ლაკმუსის ქაღალდად" გადაქცევის შესახებ ნატოში გაწევრიანებისკენ მიმავალ გზაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე საქართველოში ჩატარებული არჩევნების დემოკრატიის ხარისხი და ნატოში გაწევრიანება ერთმანეთისთვის არავის დაუკავშირებია. რიჩარდ ნორლანდის ეს განცხადება პასუხი იყო კიდევ ერთი კონგრესმენის ბენ კარდინის განცხადებაზე, რომელიც ივანიშვილის ინტერესებს წარმოადგენდა. კარდინმა განაცხადა: ,,მე მინდა ხაზი გავუსვა ოპოზიციის კანდიდატების შეზღუდვის პრობლემას, ამას ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში იყენებენ, როგორც ოპოზიციური შესაძლებლობების დაბლოკვის საშუალებას და მე ვისურვებდი ჩვენს იქ ყოფნას იმისთვის, რომ ოპოზიციას ჰქონდეს რაც შეიძლება ფართო შესაძლებლობები, რათა თანაბარ დონეზე ეფექტური კონკურენციის გაწევა შეძლოს". (როგინი, 03.04.2012)

უცხოურ პრესაში საქართველოზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, შეხვედრებს აშშ-ს მაღალჩინოსნებთან და შემდგომ მათ მხარდამჭერ განცხადებებს სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში დიდხანს ისე წარმოაჩენდნენ, ქართული საზოგადოება ვერ ხვდებოდა, ეს რომ ლობისტური საქმიანობის შედეგები იყო. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდგომ კი ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა ორივე მხარის ლობისტურ საქმიანობას და ამომრჩევლისთვის უკვე ცხადი გახდა რატომ იბეჭდებოდა აშშ-ს წამყვანი გაზეთების ფურცლებზე სტატიები საქართველოს შესახებ. ოპოზიციის მაშინდელმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა შეძლო მიხეილ სააკაშვილის ცხრა წლიანი ლობისტური კამპანიის დაბალანსება. მანამდე მხოლოდ ხელისუფლებას შეეძლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ლობისტების დაქირავება. ივანიშვილი საკუთარ ლობისტებს საკუთარი ფულადი სახსრებით უხდიდა ანაზღაურებას, ხოლო დღეს ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნება“ კი - მთავრობის სარეზერვო ფონდიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

ასათიანი ე. (6-12.02.2012). ,,ივანიშვილის ამერიკელი ლობისტები მალე საქართველოში ჩამოვლენ". კვირის პალიტრა. გვ. 7.

მგალობლიშვილი ხ. (30.04.2012). ,,გპირდებით, ხალხი ქუჩაში აუცილებლად გამოვა". პრაიმ ტაიმი. გვ. 15

მეცხვარიშვილი მ. (02.03.2012). ხიდაშელი კონგრესმენ მაკდერმოტს შეხვდა. ნეტგაზეთი. 08.07.2012. http://www.netgazeti.ge

სივსივაძე ბ. (25.06.-01.07.2012). ირაკლი ალასანია: ჰილარი კლინტონის მთავარი გზავნილი იყო - 8 წელი მართეთ ქვეყანა...ახლა დაიხურეთ ქუდი და წადით. ასავალ-დასავალი. გვ. 9.

ეგენი დ.(17.05.2012). *გავლენის ინდუსტრია:* ქართული ბრძოლა ხელისუფლებისთვის ვაშინგტონელი ლობისტების ბრძოლაში გადადის. *The Washington Post.* 12.05.2016.

http://foreignpress.ge/analitika/3821-gavlenis-industria-qarthuli-brdzola-khelisuflebisthvis-vashingtoneli-lobistebis-brdzolashi-gadadis.html?lang=ka-GE

კუცერა ჯ. (13.02. 2011). კავკასია, ცენტრალური აზია: შეხედეთ, ვინ ქმნის ამინდს ამერიკის ლობისტურ ინდუსტრიაში.. *EURASIANET.org.* ნანახია 12.05.2016. http://foreignpress.ge/analitika/3022-kavkasia-centraluri-azia-

shekhedeth-vin-qmnis-aminds-amerikis-lobistur-industriashi.html?lang=ka-GE

კუცერა ჯ. (27.03.20120. ივანიშვილის ლობისტურ ძალისხმევას ვაშინგტონში შედეგები მოაქვს. EURASIANET.org 15.06.2010. http://foreignpress.ge/?p=19724#more-19724

პალმერი ა. (12.04.2012). ქართველი მილიარდერი ვაშინგტონს შტურმით იღებს. *POLITICO.* 13.05.2016.

http://foreignpress.ge/faqtebi/3793-qarthveli-miliarderi-vashingtons-shturmith-ighebs.html?lang=ka-GE

როგინი ჯ. (03.04.2012). ქართული დემოკრატია ვაშინგტონში დისკუსიის საგანი ხდება. *Foreign Policy.* 13.05.2016.

http://foreignpress.ge/analitika/3775-qarthuli-demokratia-vashingtonshi-diskusiis-sagani-khdeba.html?lang=ka-GE

როგინი ჯ. (31.01.2012). ვაშინგტონში საქართველოს სხვა ლობისტური ძალისხმევის არსი. *Foreign Policy*. 13.05.2016.

http://foreignpress.ge/analitika/3688-vashingtonshi-saqarthvelos-skhva-lobisturi-dzaliskhmevis-arsi.html?lang=ka-GE

ჰალპერი დ. (17.04.2012). რუსიოლიგარქი ვაშინგტონელი ლობისტების არმიას ქირაობს. *the weekly Standard.* 11.05.2016. http://foreignpress.ge/analitika/3821-gavlenis-industria-qarthuli-brdzola-khelisuflebisthvis-vashingtoneli-lobistebis-brdzolashi-gadadis.html?lang=ka-GE

მედიანიუსი. (19.06.2012). თედო ჯაფარიძე: გაჩნდა იმის რისკი, რომ აშშ უნებლიეთ აფინანსებს ქართველი ხალხის რეპრესიებს. 06.07.2012.

http://medianews.ge/ge/tedodjafaridzegachndaimisriskiromashshuneblietafinansebsqartvelikhalkhisrepresiebs/8403

24 საათი. (29.07.2011). ირაკლი ალასანია აშშ-ში ვიზიტს განაგრძობს. 06.07.2012. http://24saati.ge/index.php/category/news/2011-07-29/18921

24 საათი. (3.03.2012). თინა ხიდაშელი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან. გვ.3.

RadioFreeEurope. RadioLiberty. (08.06.2012) ამერიკელი კანონმდებლების თქმით, საქართველოს შემდეგი არჩევნები ,,გარდამტეხია". 15.06.2012. http://foreignpress.ge/?p=20739#more-20739

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო. (04.06.2010). *აშშ-ში საქართველოს ლობისტური საქმიანობის სქემა.* ნანახია 26.06.2016. http://transparency.ge/geo_us_lobbying

Clerk of The House of Representatives. Lobbying Disclosure Act of 1995. *Lobbying Report.* 23.05.2016. http://disclosures.house.gov/ld/pdfform.aspx?id=300462387

Clerk of The House of Representatives. Lobbying Disclosure Act of 1995. *Lobbying Report.* 23.05.2016 http://disclosures.house.gov/ld/pdfform.aspx?id=300474596

Clerk of The House of Representatives. Lobbying Disclosure Act of 1995. *Lobbying Report.* 23.05.2016. http://disclosures.house.gov/ld/pdfform.aspx?id=300475374

U.S. Department of Justice, Washington DC 20530, Exhibit A to Registration Statement Pursuant to The Foreign Agents registration Act of 1938, as amended. 28.11.2011. OMB No 1124-0006. nanaxia 17.04.2016.

https://www.fara.gov/docs/5430-Exhibit-AB-20111128-39.pdf

U.S. Department of Justice, Washington DC 20530, Exhibit A to Registration Statement Pursuant to The Foreign Agents registration Act of 1938, as amended. 07.12.2012. OMB No 1124-0006. nanaxia 13.04.2016.

https://www.fara.gov/docs/6132-Exhibit-AB-20121207-2.pdf

U.S. Department of Justice, Washington DC 20530, Exhibit A to Registration Statement Pursuant to The Foreign Agents registration Act of 1938, as amended. 11.09.2013. OMB No 1124-0006. nanaxia 17.04.2016.

https://www.fara.gov/docs/5478-Exhibit-AB-20130911-16.pdf

U.S. Department of Justice, Washington DC 20530, Exhibit A to Registration Statement Pursuant to The Foreign Agents

registration Act of 1938, as amended. 28.02.2014. OMB No 1124-0006. nanaxia 17.04.2016.

https://www.fara.gov/docs/6081-Exhibit-AB-20111221-2.pdf

U.S. Department of Justice, Washington DC 20530, Exhibit A to Registration Statement Pursuant to The Foreign Agents registration Act of 1938, as amended. 28.02.2014. OMB No 1124-0006. nanaxia 16.04.2016.

https://www.fara.gov/docs/6081-Exhibit-AB-20111221-1.pdf

U.S. Department of Justice, Washington DC 20530, Exhibit A to Registration Statement Pursuant to The Foreign Agents registration Act of 1938, as amended. 24.04.2015. OMB No 1124-0006. nanaxia 17.04.2016.

https://www.fara.gov/docs/5198-Exhibit-AB-20150424-33.pdf

U.S. Department of Justice, Washington DC 20530, Exhibit A to Registration Statement Pursuant to The Foreign Agents registration Act of 1938, as amended. 29.04.2015. OMB No 1124-0006. nanaxia 17.04.2016.

https://www.fara.gov/docs/5478-Exhibit-AB-20150429-19.pdf

U.S. Department of Justice, Washington DC 20530, Exhibit A to Registration Statement Pursuant to The Foreign Agents registration Act of 1938, as amended. 16.05.2016. OMB No 1124-0006. nanaxia 20.04.2016.

https://www.fara.gov/docs/5478-Exhibit-AB-20160516-22.pdf

U.S. Department of Justice, Washington DC 20530, Amendment to Registration Statement Pursuant to The Foreign Agents registration Act of 1938, as amended. 04.06.2016. OMB No 1124-0003. nanaxia 17.04.2016.

https://www.fara.gov/docs/5198-Exhibit-AB-20160604-36.pdf

Mariana Kevkhishvili

Research Fellow, Institute of Political Science,
Ilia State University
PhD Student, Department of Political Science
Iv.Javakishvili Tbilisi State University

Lobbying Activity of the Political Party "The Georgian Dream – Democratic Georgia" in the United States

Abstract

Since 2011 Bidzina Ivanishvili and the "Georgian Dream" Coalition started large-scale lobbying activity in the United States of America. In its firsts stage, the lobbyists were tasked to argue for fair, open and honest elections in 2012 and to organize meetings of the Georgian Dream representatives with the high-rank officials of the US. These efforts were aimed to conduct PR, to raise Ivanishvili's recognition in the West and "to show the real face" of Mikheil Saakashvili.

The Georgian Press actively covered the controversial topics of lobbying efforts of Mikheil Saakashvili and Bidzina Ivanishvili. With the appearance of billionaire Ivanishvili in the Georgian politics, the fact that Georgia has been using lobbying assistance in the United States since 1991 has become widely known to the Georgian Society.

Bidzina Ivanishvili began hiring lobbyists in the US right after his appearence on the Georgian poliical stage. As use of his financial assets were limited in Georgia, he directed his funds to the West. From November 2011 until his emergence in the

government of Georgia, 6 lobbying companies were paid USD 1 095 635 in total.

Lobbying activities of Bidzina Ivanishvili and the Georgian Dream can be reviewed in two phases: the pre-election period, before the Georgian Dream came to the government of the country and after its emergence in the government of Georgia. Unlike its predecessor, with assuming political leadership of the country, the Georgian Dream abruptly reduced both, the number of hired lobbyists and the amount of money paid for their service. The contracts signed with most of these lobbying companies were terminated and only two companies - Pillsbury Winthrop Shaw Pittman LLP and the Harbour Group - were maintained in the US for further partnership. They rotects the interests of Georgia in the US and are tasked to increase support of Georgia among the political and civil leaders of the US and to back-up its foreign policy throiugh media coverage. According to the signed contract these companies are paid USD 320 000.

The study proves that Bidzina Ivanishvili managed to neutralize the nine-year-long lobbying campaign of its main opponent – the United National Movement's political force. There was no such precedent before 2011, as the oppositon parties did not have enough funds to carry out lobbying campaign on such scale against Mikheil Saakashvili's government.

Key words: lobbying, elections in Georia, political parties